განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,ტურიზმი“

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 18.06.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 10.07.2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204555524
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	,,ტურიზმი''
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში (კ/კ1120)
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთაჯგუფისწევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა დევიძე, საქართველოს უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნატალია კვაჭანტირაძე, საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ხატისაშვილი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ,ტურიზმი" გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „გთუნი") შემუშავდა ბიზნესის მართვისა და ეკონომიკის კათედრაზე და ხორციელდება 2009 წლიდან. პროგრამა აკრედიტებული იყო უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულებების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2013 წლის 15 ოქტომბრის №149 გადაწყვეტილებით. განმეორებითი აკრედიტაციის შედეგად მინიჭებული აქვს პირობითი აკრედიტაცია ერთი წლისა და ექვსი თვის ვადით(სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს № 199. 07.12.2018 გადაწყვეტილება, ოქმი N 58).

საგანმანათლებლო პროგრამა ოთხწლიანია და ითვალისწინებს 240 ECST კრედიტის დაგროვებას (6000 სთ), რაც გულისხმობს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას. პროგრამის შექმნისა და მოდიფიცირების პროცესში გათვალისწინებულია დარგის განვითარების თანამედროვე ტენდენციები, შრომის ბაზრის მოთხოვნები, ტურიზმის განათლების საერთაშორისო და ქართული გამოცდილება. შესწავლილი და გაანალიზებულია გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის სტანდარტებით (UNWTO TedQual Certification System) სერტიფიცირებული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამები და პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილება.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა 2020 წლის 18 ივნისს. ვიზიტამდე შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (ეკა დევიძე, ნატალია კვაჭანტირაძე, თამარ ხატისაშვილი), შეხვედრაზე ჯგუფის წევრებმა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან ,,ტურიზმი" მიმართებით არსებული მოსაზრებები შეაჯერეს. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის საორიენტაციო კითხვები, რომელიც აკრედიტაციის ვიზიტის დროს 18 ივნისს დაისვა ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთანშ ესაბამისობის დადგენის თვალსაზრისით.

2020 წლის 18 ივნისს, აკრედიტაციის (ექსპერტთა) ვიზიტი დღის წესრიგის მიხედვით დაიწყო. ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ და ინტერესებულ მხარეებთან მიმდინარეობდა დღის წესრიგით გათვალისწინებული შესაბამისი დროის და ინტერვალის დაცვით, კერძოდ: შეხვედრა უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, დაწესებულების/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელ(ებ)თან, პროგრამის ხელმძვანელ(ებ)თან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, შეხვედრა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებელი ობიექტების წარმომადგენლებთან. ასევე ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა– ბიბლიოთეკა (წიგნადი ფონდი), აუდიტორიები და ა.შ.სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში დიალოგის რეჟიმით. რესპონდენტები ამომწურავად და დეტალურად პასუხობდნენ ექსპერტების მიერ დასმულ შეკითხვებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საბაკალავრო პროგრამის ,,ტურიზმი" მიზნები ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნების როგორც პირველადი, ისე სამაგიდე კვლევის შედეგებს და დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგებს. საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია ტურიზმის სფეროს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებაზე, რომელსაც ექნება თანამედროვე საერთაშორისო და ეროვნულ მეცნიერულ მიღწევებზე დაფუძნებული ფართო ცოდნა და კრიტიკული აზროვნების, კვლევის/პროექტის განხორციელების უნარი; ანალიზის, პრობლემების გადაწყვეტის, არგუმენტაციის,

კომუნიკაციის კომპეტენციები; ეთიკური საქმიანობისა და ტურიზმის ღირებულებების დაცვის პასუხისმგებლობა.

პროგრამის აკადემიურ პერსონალს სისტემატურად მიეწოდება ინფორმაცია გთუნიში მოქმედი ან ახლად შექმნილი წესების/რეგულაციების შესახებ, მათ შორის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შესახებ, ტარდება კონსულტაციები, კათედრის ან უწყვეტი განათლებისა ცენტრის „GT-TCC ტრენინგი და კონსალტინგი“ მიერ ორგანიზებული მეთოდური სემინარები, რაც გაწერილია ცენტრის აქტივობებში.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ტურიზმი“ დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და მიღება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდებით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ტურიზმი“ ჩარიცხვისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 27 აგვისტოს N 178/ნ ბრძანების საფუძველზე, აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს: 1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. უცხოური ენა (ინგლისური, გერმანული ან რუსული); 3. ისტორია ან მათემატიკა. გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლების მოპოვება ხდება გთუნიში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემდეგ. პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე წინაპირობები და პროცედურები ხელმისწავდომია ვებ გვერდზე, სადაც აღწერილი და ახსნნილია თითოეული ეტაპი თუ როგორ ხდება საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა გარე და შიდა მობილობით და ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე.

ტურიზმის პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია: “ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში“, მიმართულებათა შორისი დარგის კვალიფიკაციის ფორმულირების, ეგრეთ წოდებული, „ჯვარედინი“ წესის თანახმად და შედგება 5 მოდულისაგან: საბაზისო სასწავლო კურსების მოდული (36 კრედიტი), უცხო ენის მოდული (24 კრედიტი), დარგობრივი (სპეციალობის) სასწავლო კურსების მოდული (126 კრედიტი), პრაქტიკისა და კვლევის მოდული (12 კრედიტი), თავისუფალი კრედიტების მოდული (30 კრედიტი). პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, თუმცა პროგრამის სწავლის შედეგების უფრო მეტად წარმატებული მიღწევებისთვის, სასურველია პროგრამის კურიკულუმში სწორად განისაზღვროს ინგლისური ენის სწავლების დონეები (ოთხივე სემესტრი, პირველი და მეორე კურსი) და ისინი გაიმიჯნოს დარგობრივი ინგლისურის კომპონენტისგან 1 ან 2 დონეებით.

უნივერსიტეტში მოქმედებს საქმიანობის შეფასების პროცედურები, როგორც აკადემიური, ისეა დმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის. შეფასების პროცედურის შემუშავების პროცესში უშუალოდ ჩართული იყვნენ უნივერსიტეტის თანამშრომლები, პროცედურა შემუშავდა მათ მოსაზრებებზე და რეკომენდაციებზე დაყრდნობით. შეფასების შედეგები გამოიყენება უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის. შეფასების საფუძველზე ხდება მათი წახალისება და დაწინაურება.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში. საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ საქართველოში/მსოფლიოში არსებული მდგომარეობის -Covid-19 გამოწვევების გამო მრავალი ღონისძიება, როგორიცაა: გაცვლითი პროგრამებში აკადემიური პერსონალის და სტუდენტების მონაწილეობა, საჯარო ლექციების ორგანიზება, პრაქტიკა-სტაჟირების კომპონენტის უზრუნველყოფა, გარკვეულწილად შეფერხდა, თუმცა სასწავლო უნივერსიტეტმა აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სასწავლო და IT დეპარტამენტების დახმარებით შეძლო სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინება და სასწავლო პროცესის წარმართვა ონლაინ პლატფორმის მეშვეობით.

- **რეკომენდაციები**

  - ✓ პროგრამის სწავლის შედეგების უფრო მეტად წარმატებული მიღწევებისთვის, რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმში სწორად განისაზღვროს ინგლისური ენის

სწავლების დონეები (ოთხივე სემესტრი, პირველი და მეორე კურსი) და ისინი გაიმიჯნოს დარგობრივი ინგლისურის კომპონენტისგან. დაგრობირვი ინგლისური კი გამოიყოს, როგორც ცალკეული სასწავლო კურსი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - ✓ საბაკალავრო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის დროული ინფორმირება სიახლეებთან დაკავშირებით, ასევე, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დოკუმენტის, კვალიფიკაციათა აღმწერის, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პრინციპების შესახებ კონსულტაციების უზურნველყოფა სასწავლო უნივერისტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.
  - ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოტივაციის გაზრდა წახალისების გზით (პროფესიული ზრდის ვებინარები, ენობრივი კომპეტენციების გაძლიერება, სამეცნიერო საგრანტოპ როექტებში მონაწილეობადა ა.შ.)
  - ✓ სამეცნიერო აქტივობებსა და ფაკულტეტის მიერ (ტურიზმის პროგრამის ფარგლებში) ინიცირებულ კვლევით პროექტებში სტუდენტთა ჩართულობის წახალისება
  - ✓ კურსდამთავრებულთა ქსელის შექმნა, კურსდამთავრებულთა კომპეტენციებისა და რესურის გამოყენება -საჯარო შეხვედრების და ინფო ტურების ორგანიზება
  - ✓ ქვეყანაში მიმდინარე (Covid-19) პროცესებიდან გამომდინარე არსებული გამოწვევების დაძლევისთ ვალსაზრისით სტუდენტზე მორგებული აქტივობების ინიცირება - IT ტექნოლოგიების დახმარებით
  - ✓ სასურველია Covid-19-მდე დაგეგმილი აქტივობების განახლება ონლაინ პლატფორმის მეშვეობით (ვებინარი, Live stream) და როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ისე სტუდენტების ჩართულობის მოტივაციის და ინტერესის გაზრდა

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - ✓ საველე პრაქტიკა (Community Based Tourism-Field Research), კვლევაში მიიღებენ მონაწილეობას სტუდენტები
  - ✓ ტრენინგისა და კონსალტინგის ცენტრის ბაზაზე უნივერსიტეტი ახდენს სტუდენტთა პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფას, როგორიცაა: GIS გამოყენებით ტურის მოდელირება, მენეჯმენტი და ა.შ.
  - ✓ სასწავლო ინკუბატორი, რომლის ბაზაზე სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ შეისწავლონ დაჯავშნის პროგრამა (AMADEUS),

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

2018 წლის 02 ოქტომბერს განხორციელებული აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის საფუძველზე გაკეთებული დასკვნისა და სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს № 199 07.12.2018 გადაწყვეტილების (ოქმი N58) საბჭოზე საკითხის განხილვისა და ზეპირი მოსმენის საფუძველზე გაკეთებული რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით პროგრამაში განხორციელებულია შემდეგი ცვლილებები:

1. პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის ამაღლების მიზნით, ტურიზმის სასწავლო ინკუბატორის საქმიანობა გაძლიერდა დაჯავშნის პროგრამით "AMADEUS"და ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული სისტემით „ORIS";
2. დაზუსტდა და შეიცვალა კურსების: „ტურიზმის ეკონომიკა", „ტურისტული საწარმოს მართვა", „სასტუმროების მენეჯმენტის საფუძვლები" წინაპირობები და ყველგან განისაზღვრა კურსით „მენეჯმენტის საფუძვლები";

3. გამსხვილდა, შემცირდა და კორექტირებულ იქნა პროგრამის სწავლის შედეგები;
4. პროგრამის სტრუქტურას სავალდებულო სასწავლო კურსების სახით დაემატა „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“ და „ტურიზმის ხარისხის მართვა“, ხოლო კურსი: „ადამიანური რესურსების მართვა“ შეიცვალა კურსით: „ადამიანური რესურსების მართვა ტურიზმში“; კურსს „რეკრეაცია და კურორტები“ შეეცვალა სახელწოდება „რეკრეაციული ტურიზმის საფუძვლებით“; კურსი „ფინანსების საფუძვლები“ შეიცვალა კურსით „ფინანსური მენეჯმენტი“, „სასტუმროს მენეჯმენტის საფუძვლები“ არჩევითი კურსიდან გადავიდა სავალდებულოში და გაძლიერდა სასტუმროს მართვის პროგრამული პაკეტების თემატიკით; მოხდა ცალკეული კურსის კრედიტის კორექტირება;
5. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 27 აგვისტოს N178/ნ ბრძანების საფუძველზე, საგნების კონტექსტში განისაზღვრა ისტორია და/ან მათემატიკა;
6. სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს: “ბიზნესის თეორია“ და “მენეჯმენტის თეორია“ შეეცვალა სახელწოდება, შესაბამისად: „ბიზნესის საფუძვლები“ და „მენეჯმენტის საფუძვლები“ და მოხდა სილაბუსით განსაზღვრული ზოგიერთი თემის კორექტირება;
7. სპეციალობის მოდულის სილაბუსებს დაემატა უცხოურენოვანი ლიტერატურა;
8. გაერთიანდა სასწავლო კურსები: „გისების საფუძვლები“ და „გისები ტურიზმში“ და ჩამოყალიბდა კურსად: „გეოინფორმაციული სისტემები ტურიზმში“; კურსს: „ტურისტული საწარმოს მართვა“ შეეცვალა სახელწოდება „ტურ ოპერეიტინგით“;
9. სტუდენტთა კარიერული განვითარების მხარდაჭერისა და ონ-ლაინ სისტემით მაქსიმალური ინფორმირებულობისათვის გაფორმდა ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი „დასაქმების სააგენტო ეიჩარ“-თან, რაც ითვალისწინებს გთუნის მართვის ელეტრონული სისტემისთვის (gttu.ini.ge) სპეციალობის მიხედვით არსებული ვაკანსიების ავტომატურ მიწოდებას; სტუდენტები მონაწილეობენ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ყოველწლიურ ღონისძიებაში „კარიერის დაგეგმვის გამოფენა“, მოეწყო შეხვედრა ტურისტულ კომპანია „Discover Georgia”-ტურიზმის სფეროში და საქმების საკითხებთან დაკავშირებით და სხვა;
10. ინტერნაციონალიზაციის პროცესში სტუდენტთა მეტი ჩართულობის მოტივირების მიზნით 2019 წლის მარტ-ივლისში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები თემაზე: „Erasmus+KA1 სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობა-შესაძლებლობები, პერსპექტივები“; გთუნის ერაზმუსის მობილობის პროექტში მონაწილე სტუდენტები თავიანთი გამოცდილების გაზიარების მიზნით აწყობენ შეხვედრებს დაინტერესებული სტუდენტებისათვის. ინგლისური ენის სწავლების გაუმჯობესების მიზნით, ბირმინგემის პატნიორი კოლეჯის მხარდაჭერით, მზადდება ფრანშიზის ხელშეკრულება დიდი ბრიტანეთის ენის სამეფო აკადემიასთან-„Imperial English“ და სხვა;
11. საბაკალავრო ნაშრომებში წყაროების ტექსტში მითითების პრაქტიკასთან ერთად, მეტად იქნა გამოყენებული სქოლიოებიც;
12. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა რიგი ღონისძიებით (კონსულტაციები, ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები) გააძლიერა ყველა დაინტერესებულ მხარესთან კომუნიკაცია საგანამათლებლო სივრცეში მიმდინარე სიახლეებსა და ცვლილებებთან დაკავშირებით.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოვლინდა, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ტურიზმი“ მიზნები შესაბამისობაშია სტანდარტი 1 კომპონენტის მოთხოვნებთან. გთუნის მისიიდან გამომდინარე, პროგრამის დანიშნულებაა უზრუნველყოს სტუდენტი თანამედროვე მეცნიერულ, პედაგოგიურ, ტექნოლოგიურ მიღწევებზე და პრაქტიკაზე დაფუძნებული განათლებით ტურიზმის დარგში; რათა სტუდენტზე ორიენტირებულ, დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ და ეთიკურ საუნივერსიტეტო გარემოში სტუდენტმა შეძლოს საკუთარი აკადემიური, სამეცნიერო, შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზება; საბაკალავრო პროგრამის „ტურიზმი“ მიზნები ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნების როგორც პირველადი, ისე სამაგიდე კვლევის შედეგებს და დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგებს. საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია ტურიზმის სფეროს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებაზე, რომელსაც ექნება თანამედროვე საერთაშორისო და ეროვნულ მეცნიერულ მიღწევებზე დაფუძნებული ფართო ცოდნა და კრიტიკული აზროვნების, კვლევის/პროექტის განხორციელების უნარი; ანალიზის, პრობლემების გადაწყვეტის, არგუმენტაციის, კომუნიკაციის კომპეტენციები; ეთიკური საქმიანობისა და ტურიზმის ღირებულებების დაცვის პასუხისმგებლობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლოპროგრამა „ტურიზმი“ ○ გთუნისმისიადასტრატეგიულიგანვითარებისგეგმა ○ ტურიზმისშრომისბაზრისკვლევა; ○ სასწავლოუნივერსიტეტისვებგვერდი: www.gtuni.edu.ge.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანიმიღწევებიდა/ანპროგრესი (მოქმედიაკრედიტებულიპროგრამისშემთხვევაში)
შეფასება o **გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა** ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,ტურიზმი“ შემუშავდა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრული (ბრძ.N 120/ნ 10 დეკემბერი 2010) უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერის საფუძველზე. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს თუ რა უნდა იცოდეს (ცოდნა და გაცნობიერება), რა უნარები და ღირებულებები უნდა ჰქონდეს სტუდენტს პროგრამის დასრულების შემდეგ, კერძოდ: სტუდენტი დამოუკიდებლად ახორციელებს ტურიზმის სფეროს სხვადასხვა ასპექტის კვლევას და/ან პრაქტიკულ პროექტს; გამოკვეთს პრობლემებს და აყალიბებს არგუმენტირებულ დასკვნებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს; თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო არხებისა და სამეცნიერო ბაზების გამოყენებით, დამოუკიდებლად აგროვებს, მართავს და ავრცელებს ტურიზმთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მათ შორის უცხო ენაზეც; წარადგენს და ასაბუთებს საკუთარ იდეებს. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ,,ტურიზმი“ სწავლის შედეგები იძლევა მათზე დაკვირვებისა და მათი გაზომვის (შეფასების) შესაძლებლობას, არის მიღწევადი და რეალისტური. პროგრამის კურიკულუმის სავალდებულო კომპონენტების სწავლის შედეგები ფასდება როგორც პირდაპირი, ისე (წერითი/ ზეპირი გამოცდა/ გამოკითხვა, საბაკალავრო ნაშრომი, პრეზენტაცია, რეფერატი, პრაქტიკული პროექტი და სხვა.) არაპირდაპირი მეთოდებით (დამსაქმებლების გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, კურიკულუმის ანალიზი, სტუდენტთა გამოკითხვა და სხვა). თითოეული სწავლის შედეგისათვის შემუშავებულია სამიზნე ნიშნულებიც. პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვა განხორციელდება გთუნიში შემუშავებული წესის „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“ შესაბამისად. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს მისანიჭებელი კვალიფიკაციის სპეციფიკას, კერძოდ მიმართულებათა შორისი დარგის კვალიფიკაციის განსაზღვრის ე.წ.“ჯვარედინ“ წესს და აღწერს ბიზნესის ძირითადი ფუნქციური არეალებისა და ტურიზმის დარგის სპეციფიკურ დარგობრივ და ზოგად კომპეტენციებს, როგორ ცინტერვიუს დროს გამოიკვეთა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური/ სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალი, სტუდენტი,

კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა), ასევე, პროგრამის განმახორციელებლები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების გაცნობას სტუდენტებისათვის უშუალოდ საკონტაქტო საათებზე, კონსულტაციების დროს, რა დროსაც სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია სასწავლო კურსის არამარტო შედეგების, არამედ მათი მიღწევის მეთოდებისა და აკადემიური მოთხოვნების შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელი, ადმინისტრაცია აწვდის ინფორმაციას აკადემიურ/ მოწვეულ პერსონალს და დამსაქმებლებს პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების, ასევე სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი მოქმედებების შესახებ. აღსანიშნავია ასევე, შეფასების ხერხები, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით მონაცემთა მოგროვებას და დამუშავებას, რათა განისაზღვროს პროგრამაზე არსებული სტუდენტების საერთო რაოდენობიდან რამდენმა პროცენტმა მიაღწია პროგრამის თოთოეულ სწავლის შედეგს და დადარდეს სამიზნე ნიშნულს. შეფასების პროცესი თანმიმდევრული და გამჭვირვალეა, შეფასებამდე განისაზღვრება და გროვდება მონაცემები, თუ რამდენად დაცულია შესაბამისობა: სასწავლო კურსების მიზნებსა და შედეგებს შორის და პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის; რამდენად ადეკვატური და მრავალფეროვანია შეფასების მეთოდები; შეესაბამება თუ არა პროგრამის სწავლის შედეგების განმავითარებელი სასწავლო კურსების მიზნებს სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა; რამდენად შეესაბამება შეფასების რუბრიკები შეფასების მიზანს, რამდენად გამჭვირვალეა შეფასების კრიტერიუმები; ადასტურებს თუ არა შეფასების რუბრიკა სანდოობასა და ვალიდურობას. პროგრამის აკადემიურ პერსონალს სისტემატურად მიეწოდება ინფორმაცია გთუნიში მოქმედი ან ახლად შექმნილი წესების/რეგულაციების შესახებ, მათ შორის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შესახებ, ტარდება კონსულტაციები, კათედრის ან უწყვეტი განათლებისა ცენტრის „GT-TCC ტრენინგი და კონსალტინგი“ მიერ ორგანიზებული მეთოდური სემინარები, რაც გაწერილია ცენტრის აქტივობებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლოპროგრამა „ტურიზმი“ ○ სასწავლოპროცესისმარეგულირებელიწესი ○ პროგრამისსწავლისშედეგებისშეფასებისმექანიზმები ○ პროგრამისსწავლისშედეგებისშედგენაშიჩართულიდაინტერესებულიპირებისმონაწილეობა სდამადასტურებელიდოკუმენტი; ○ სასწავლოუნივერსიტეტისვებგვერდი: www.gtuni.edu.ge; ○ გამოკითხვისშედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთპროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშიამოთხოვნებთან**	**მეტწილადშესაბამისობაშიამოთხოვნებთან**	**ნაწილობრივშესაბამისობაშიამოთხოვნებთან**	**არარისშესაბამისობაშიმოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც ინტერვიუს დროს გამოვლინდა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ტურიზმი“ დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და მიღება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდებით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ტურიზმი“ ჩარიცხვისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 27 აგვისტოს N 178/ნ ბრძანების საფუძველზე, აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს: 1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. უცხოური ენა (ინგლისური, გერმანული ან რუსული); 3. ისტორია ან მათემატიკა. გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლების მოპოვება ხდება გთუნიში

ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემდეგ. პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე წინაპირობები და პროცედურები ხელმისწავდომია ვებ გვერდზე, სადაც აღწერილი და ახსნნილია თითოეული ეტაპი თუ როგორ ხდება საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა გარე და შიდა მობილობით და ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლოპროგრამა „ტურიზმი“ ○ სტუდენტთაჩარიცხვისბრძანებები; ○ ვებგვერდი: www.gtuni.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარისშესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა დ აშინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ტურიზმი“ შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით, გათვალისწინებულია საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები,

განსაზღვრულია მიზანი, რომელიც ეფუძნება გთუნის 2019-2025 წწ. მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS პრინციპის საფუძველზე და ითვალისწინებს სტუდენტზე ორიენტირებული აკადემიური პროფილის ფორმირებას სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების ერთობლიობით. საინტერესოდაა აგებული პროგრამის სტრუქტურაც:



საერთაშორისო კონტექსტთან შესაბამისობის მიზნით, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა შექმნილია გთუნის პარტნიორი უნივერსიტეტის - Inholland University of Applied Sciences (ნიდერლანდების სამეფო) გამოცდილების გაზიარებით, მათთან მჭიდრო და ხანგრძლივი თანამშრომლობის საფუძველზე. პროგრამის შექმნისა და მოდიფიცირების პროცესში გათვალისწინებულია დარგის განვითარების თანამედროვე ტენდენციები, შრომის ბაზრის მოთხოვნები, ტურიზმის განათლების საერთაშორისო და ქართული გამოცდილება. შესწავლილი და გაანალიზებულია გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის სტანდარტებით (UNWTO TedQual Certification System) სერტიფიცირებული ტურიზმის საბაკალავრო პროგრამები.

ტურიზმის პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია: "ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში", მიმართულებათა შორისი დარგის კვალიფიკაციის ფორმულირების, ეგრეთ წოდებული, ,,ჯვარედინი" წესის თანახმად და შედგება 5 მოდულისაგან: საბაზისო სასწავლო კურსების მოდული (36 კრედიტი), უცხო ენის მოდული (24 კრედიტი), დარგობრივი (სპეციალობის) სასწავლო კურსების მოდული (126 კრედიტი), პრაქტიკისა და კვლევის მოდული (12 კრედიტი), თავისუფალი კრედიტების მოდული (30 კრედიტი). პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, თუმცა პროგრამის სწავლის შედეგების უფრო მეტად წარმატებული მიღწევებისთვის, სასურველია პროგრამის კურიკულუმში სწორად განისაზღვროს ინგლისური ენის სწავლების დონეები (ოთხივე სემესტრი, პირველი და მეორე კურსი) და ისინი გაიმიჯნოს დარგობრივი ინგლისურის კომპონენტისგან 1 ან 2 დონეებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავროსაგანმანათლებლოპროგრამა ,,ტურიზმი"
- საგანმანათლებლოპროგრამისგანხორციელებისშეფასებისსისტემა;
- ვებგვერდი: www.gtuni.edu.ge;
- გამოკითხვისშედეგები

რეკომენდაციები:

- პროგრამის სწავლის შედეგების უფრო მეტად წარმატებული მიღწევებისთვის, რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმში სწორად განისაზღვროს ინგლისური ენის სწავლების დონეები (ოთხივე სემესტრი, პირველი და მეორე კურსი) და ისინი გაიმიჯნოს დარგობრივი ინგლისურის კომპონენტისგან. დაგრობირვი ინგლისური კი გამოიყოს, როგორც ცალკეული სასწავლო კურსი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანიმიღწევებიდა/ანპროგრესი (მოქმედიაკრედიტებულიპროგრამისშემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლოკურსი
➢ ძირითადისპეციალობისთითოეულისასწავლოკურსისსწავლისშედეგებიშეესაბამებაპროგრამისსწავლისშედეგებს, ხოლოყოველისასწავლოკურსისშინაარსიდაკრედიტებისრაოდენობაშეესაბამებაამკურსისსწავლისშედეგებს; ➢ სილაბუსშიმითითებულისასწავლომასალადაფუძნებულიასწავლისსფეროს/დარგისაქტუალურმიღწევებზედაუზრუნველყოფსპროგრამისსწავლისშედეგებისმიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა„ტურიზმი“ აგებულია სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ლოგიკური ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და კურსების შინაარსი ვითარდება შედარებით მარტივიდან რთული/კომპლექსურისკენ. პროგრამის თითოეულ სავალდებულო სასწავლო კურსში ჩანს ურთიერთ კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებთან, ამასთან ეს სასწავლო კურსები სხვადასხვა დონით (გაცნობა-გაღრმავება-განმტკიცება) ავითარებენ სწავლის შედეგებს, რაც ასახულია კურიკულუმის რუკაში. სასწავლო კურსით განსაზღვრული ყველა შედეგი გაზომვადია, რაც უზრუნველყოფილია შეფასების კომპონენტებითა და ნათლად და მკაფიოდ ჩამოყალიბებული კრიტერიუმებით. აკადემიური თავისუფლების ფარგლებში აკადემიური პერსონალი თავად განსაზღვრავს სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმებს, რაც მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; საკონტაქტო საათების რაოდენობა სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; თითოეული კურსისთვის შექმნილი სილაბუსი წარმოადგენს რეალურ გზამკვლევს თუ რა მოლოდინი უნდა ჰქონდეს სტუდენტს ამ კურსისაგან, როგორია საერთო წესები და რეგულაციები. სილაბუსის

შედგენის პროცესში აკადემიური პერსონალი სარგებლობს სრული აკადემიური თავისუფლებით, რაც გამოიხატება მის ხედვასა და მიდგომებში კურსის მიზნების, შინაარსის, მეთოდების, სწავლების გრაფიკის, შესასრულებელი დავალებების ტიპების, შეფასების მეთოდებისა და პერიოდულობის შესახებ, ამასთან ითვალისწინებს გთუნის რეკომენდაციებს მის სტრუქტურასთან დაკავშირებით და შეფასების სისტემის საუნივერსიტეტო წესს. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა უზრუნველყოფს კურსის სწავლის შედეგების მიღწევას და დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავროსაგანმანათლებლოპროგრამა „ტურიზმი“; ○ სილაბუსები ○ გამოკითხვისშედეგები
რეკომენდაციები:
რჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესოპრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანიმიღწევებიდა/ანპროგრესი (მოქმედიაკრედიტებულიპროგრამისშემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამაუზრუნველყოფს, სწავლისშედეგებისშესაბამისად, სტუდენტთაპრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლოდატრანსფერულიუნარებისგანვითარებას და/ანმათკვლევითპროექტებშიჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც ინტერვიუს დროს სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან საუბრისას გამოიკვეთა სასწავლო უნივერსიტეტი ყოველთვის მხარს უჭერს ახალი ნიციატივებს, მემორანდუმების და ხელშეკრულებების თანახმად სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა აქტიურად

ჩაერთონ კურიკულუმით გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტში, პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას (გარე და შიდა შეფასება - მენტორი პრაქტიკის ობიექტიდან და უნივერსიტეტიდან), ასევე გათვალისიწნებულია სტუდენტების რაოდენობა, პროფილი და ხანგრძლივობა. სამეცნიერო აქტივობებში სტუდენტთა ჩართვისა და პოპულარიზაციისათვის გთუნიში 2011 წლიდან ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო-შემოქმედებითი კონფერენციები, რომელშიც მონაწლეობენ ტურიზმის პროგრამის სტუდენტებიც. გარდა ამისა 8 სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღო ტემპუსის პროექტის „CruiseT" ფარგლებში ჩატარებულ საერთაშორისო სტუდენტურ კვლევით პროექტებში: "International Summer School-Kherson, 2015"; "International Summer School-Batumi 2016". 2017-2018-2019 წლებში სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩართულნი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ „სამეცნიერო ფესტივალში". ამ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 25-მა სტუდენტმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავროპროგრამა „ტურიზმი" ○ პრაქტიკისდებულება ○ სტუდენტურისამეცნიერო-შემოქმედებითიკონფერენციები, გამოქვეყნებულითეზისები ○ განხორციელებულიპროფესიულიპრაქტიკა ○ პრაქტიკისშედეგებისამსახველიდოკუმენტაცია ○ პრაქტიკისგანმახორციელებელთანგაფორმებულიხელშეკრულებები ○ გამოკითხვისშედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანიმიღწევებიდა/ანპროგრესი (მოქმედიაკრედიტებულიპროგრამისშემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამახორციელდებასტუდენტზეორიენტირებულისწავლება-სწავლისმეთოდებისგამოყენებით. სწავლება-სწავლისმეთოდებიშეესაბამებასწავლებისსაფეხურს, კურსისშინაარსს, სწავლისშედეგებსდაუზრუნველყოფსმათმიღწევას.
